„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

მე-3 თავით დადგენილი მოთხოვნების შესრულების თობაზე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის ანგარიში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოგიდგენთ ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ:

2025 წლის მონაცემებით:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 4 განცხადება;
2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილდა 4 მოთხოვნა;
3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია;
4. ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება არ მიუღია;
5. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ;
6. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დახურული სხდომის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია;
7. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების, სხვისთვის გადაცემის შესახებ ფაქტს ადგილი არ ჰქონია;
8. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა მიერ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ ფაქტს ადგილი არ ჰქონია;
9. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეადგინა 0 ლარი.

**მამუკა რეხვიაშვილი**

საკრებულოს თავმჯდომარე